



USAID
ამერიკელი ხალხისგან



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი, სამართლიანი და
თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური
ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №1
ოქტომბერი 1 - ნოემბერი 1, 2019

თბილისი, 2019

ხელმძღვანელი:

ვახუშტი მენაბდე

ავტორი:

რატი თინიკაშვილი

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, 2019 წლის აგვისტოდან ახორციელებს პროექტს - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“. მისი დაფარვის არეალია თბილისი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია და აჭარა.

პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად, საია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

პროპორციული საარჩევნო სისტემა (კონსტიტუციური ცვლილებები)

2019 წლის 24 ივნისს მმართველი პარტიის თავმჯდომარემ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარება სრულად პროპორციული წესით, ნულოვანი (ბუნებრივი) ბარიერით დააანონსა.¹ საიამ შემოთავაზებული ინიციატივა დადებითად შეაფასა და ხელისუფლებას მოუწოდა, ფართო დისკუსიის საფუძველზე, ბოლომდე მიეყვანა აღნიშნული ცვლილებები.²

მიმდინარე წლის 28 ივნისს საქართველოს პარლამენტში დაინიცირდა შესაბამისი კანონპროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სრულად პროპორციული წესით, ბარიერის გარეშე ჩატარებას ითვალისწინებს.³

საია ჩაერთო საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების პროცესში და მონაწილეობა მიიღო საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის 2 სხდომასა და 4 საჯარო შეხვედრაში (თელავი, ბათუმი, ოზურგეთი და ამბროლაური).

2019 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა დადებითად შეაფასა შეთავაზებული ცვლილება და მიიჩნია, რომ ის მზად იყო პარლამენტის სხდომაზე წარსადგენად.⁴ პროცესის დასრულებამდე საჭიროა პროექტის სამი მოსმენით განხილვა პლენარულ სესიაზე და 113 დეპუტატის მხარდაჭერა.

საია მიიჩნევს, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა (ბუნებრივი ბარიერით) მაქსიმალური სიზუსტით გარდასახავს ამომრჩეველთა ხმებს საპარლამენტო მანდატებში და მხარს უჭერს აღნიშნულ რეფორმას. ორგანიზაცია იმედოვნებს, რომ ეს პროცესი წარმატებით დასრულდება.

¹ „2020-ში ჩატარდება პროპორციული არჩევნები ნულოვანი ბარიერით – ივანიშვილი“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეტი“, 24.06.2019, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/374865/>, განახლებულია: 01.11.2019.

² „საია მმართველი პარტიის მიერ შემოთავაზებულ საარჩევნო სისტემას აფასებს“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 24.06.2019, ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/ge/post/saia-mmartveli-partiis-mier-shemotavazebul-saarchevno-sistemas-afasebs#sthash.kRcZWbHz.dpbs>, განახლებულია: 01.11.2019.

³ კანონპროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#/law-drafting/18526>, განახლებულია: 01.11.2019.

⁴ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/21656>, განახლებულია 13.11.2019.

ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, პარლამენტმა მუშაობა დაიწყო კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებზე და შესაბამისი პროექტი წარმოადგინა. საიამ მონაწილეობა მიიღო აღნიშნული დოკუმენტის განხილვის მიზნით გამართულ 3 შეხვედრაში და პროცესის მონაწილეებს საკუთარი რეკომენდაციები შესთავაზა.

რეკომენდაციები შეეხებოდა როგორც პროცედურულ, ისე შინაარსობრივ საკითხებს. ცვლილებათა ნაწილი საიამ დადებითად შეაფასა, თუმცა, რამდენიმე მათგანთან დაკავშირებით კრიტიკული მოსაზრება დააფიქსირა.

კერძოდ, საიამ პარლამენტს შესთავაზა საარჩევნო კომისიების წევრთა რაოდენობის შემცირება და ადმინისტრაციის სრულად პროფესიული ნიშნით შერჩევის მოდელი, ასევე - სავალდებულო გენდერული კვოტირება უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. ორგანიზაციამ კრიტიკულად შეაფასა წინასაარჩევნო კამპანიის საინფორმაციო უზრუნველყოფასთან დაკავშირებით შემოთავაზებული ნორმები (ნეგატიური კამპანია და სიძულვილის ენის რეგულირება), აგრეთვე, სიახლე, რომლის თანახმადაც, კენჭისყრის დღეს გამოძევების შემთხვევაში დამკვირვებელი და სუბიექტის წარმომადგენელი კარგავენ სხვა საარჩევნო უბანზე დაკვირვების უფლებას. საიამ რეკომენდაციით მიმართა პროექტის ავტორებს, საარჩევნო კანონმდებლობით ცხადად განისაზღვროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე საარჩევნო ადმინისტრაციის უარის სასამართლოში გასაჩივრების უფლება.

საია დადებითად აფასებს პარლამენტის დაინტერესებას ამომრჩევლის ნების კონტროლის პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით და მხარს უჭერს კენჭისყრის დღეს სააგიტაციო მოქმედებათა შეზღუდვას.

პროექტის საკანონმდებლო ინიციატივად ოფიციალურად დარეგისტრირების შემდეგ საია აქტიურად ჩაერთვება საპარლამენტო განხილვებში.

საკრებულოს შუალედური არჩევნები

2019 წლის 27 ოქტომბერს გაიმართა საკრებულოების შუალედური არჩევნები ლაგოდეხის, ადიგენისა და მარტვილის მუნიციპალიტეტებში⁵ - 7 საარჩევნო უბანში:

- მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი №15.03 (ლაგოდეხი - 4 საარჩევნო უბანი);
- მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი №38.03 (ადიგენი - 1 საარჩევნო უბანი);
- მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი №65.11 (მარტვილი - 2 საარჩევნო უბანი).

აღსანიშნავია, რომ ადიგენისა⁶ და მარტვილის⁷ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში საკრებულოს წევრის მანდატის მოსაპოვებლად მონაწილეობდა თითო კანდიდატი, ხოლო ლაგოდეხში - 3.⁸ საბოლოოდ, საკრებულოს წევრის სამივე მანდატი მიიღო პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“.⁹

⁵ „საკრებულოების შუალედური არჩევნების კენჭისყრის პროცესი დასრულდა“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://cesko.ge/geo/list/show/119019-sakrebuloebis-shualeduri-archevnebis-kenchiskris-protsesi-dasrulda>, განახლებულია: 13.11.2019.

⁶ ზურაბ ფეიქრიშვილი, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“.

⁷ რობერტ კაკულია, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“.

⁸ მალხაზ მელაშვილი, „ვეროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“; დავით ბეგლარაშვილი, „მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“; ომარ შველიძე, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“.

⁹ „ცესკომ დღეს ცნობდა მიიღო ინფორმაცია 27 ოქტომბრის საკრებულოების შუალედური არჩევნების შედეგების

საბიუჯეტო ცვლილებები

მიმდინარე წლის 30 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტი.¹¹

მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ გამოაქვეყნა საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მოკლე ანალიზი და რეკომენდაციები.¹²

ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით:¹³

- **2020 წლის 1-ლი ივლისიდან 30** ლარით გაიზრდება 70 წლის და უფრო მაღალი ასაკის პირთა პენსია, ასევე, მკვეთრად გამოხატული და 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა (450 ათასზე მეტი მოქალაქე) სოციალური დახმარებები, რისთვისაც დამატებით გამოიყოფა 80 მლნ ლარი. პარალელურად, დაინერგება საპენსიო გასაცემლების რეგულარული ზრდის წესი;
- **2020 წლის 1-ლი ივლისიდან** სასწრაფო დახმარების და სოფლის ექიმების პროგრამების ფარგლებში (8 ათასამდე მოქალაქე) ანაზღაურება გაიზრდება 100 ლარით;
- საჯარო სკოლების უფროსი, ნამყვანი და მენტორი მასწავლებლების (43 ათასამდე მოქალაქე) დანამატი გაიზრდება 150 ლარით 2019 წლის 1-ლი ოქტომბრიდან და დამატებით 150 ლარით - **2020 წელს, ახალი სასწავლო წლის დაწყებიდან**. ამისთვის 2020 წელს ჯამში გამოიყოფა 140.0 მლნ ლარზე მეტი;
- **2020 წლის 1-ლი სექტემბრიდან** 100 ლარით გაიზრდება საბავშვო ბაღებში დასაქმებულთა ანაზღაურება (მასწავლებლები, აღმზრდელები და სხვა - 32 ათასზე მეტი მოქალაქე), რისთვისაც გამოიყოფა 15.0 მლნ ლარამდე;
- მეხანძრე-მაშველებს, პოლიციელებს და მათთან გათანაბრებულ პირებს **2020 წლის 1-ლი ივლისიდან** ხელფასები გაეზრდებათ საშუალოდ 125 ლარით.

პარლამენტის 2020 წლის არჩევნები გაიმართება 31 ოქტომბერს. რიგი ცვლილების ამოქმედება ემთხვევა კენჭისყრის წინა პერიოდს და, შესაბამისად, არსებობს ვარაუდი, რომ ის საარჩევნოდ მოსახლეობის კეთილგანწყობის გაზრდას ისახავს მიზნად.

საიასაც მიაჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნება, ყველა ის საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება, 2020 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდეს, რათა არ შეიქმნას ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნით გამოყენების განცდა და ზიანი არ მიადგეს თანასწორ საარჩევნო გარ

შეჯამების შესახებ“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია <http://cesko.ge/geo/list/show/119034-tsekom-dghes-tsnobad-miigho-informatsia-27-oqtombris-sakrebuloebis-shualedu-ri-archevnebis-shedegebis-shedjamebis-shesakheb>, განახლებულია 13.11.2019.

¹⁰ საია არჩევნებს არ აკვირდებოდა.

¹¹ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/18853>, განახლებულია: 13.11.2019.

¹² „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მოკლე ანალიზი და რეკომენდაციები“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.transparency.ge/ge/blog/sa-kartvelos-2020-clis-saxelmcpo-biujetis-proektis-mokle-analizi-da-rekomendaciebi/?custom_searched_keyword=%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%A2, განახლებულია: 14.11.2019.

¹³ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/231731>, განახლებულია: 13.11.2019.